სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის

გადაწყვეტილება №017/18

ქ.თბილისი, 10 ოქტომბერი, 2018 წელი

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის

საპროცესო კოლეგიის ალტერნატიული წევრის დანიშვნის თაობაზე

2018 წლის 10 ოქტომბერს მეხუთე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარემ ია გაბედავამ მოხსენებითი ბარათით მომართა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, რომლის მიხედვითაც მეხუთე დისციპლინური კოლეგიის წევრი არჩილ ჩოფიკაშვილი თვითაცილების გამო ვერ იღებს მონაწილეობას დისციპლინური საქმის №118/18-ის საპროცესო წესით განხილვაში.

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარის თხოვნით, ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მიერ აღნიშნული საქმის განხილვისას კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით №118/18 საქმის განხილვისას ალტერნატიულ წევრად დაინიშნოს მარიკა არევაძე.

ვიხელმძღვანელე რა ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით, საპროცესო კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ეთიკის კომისიის წევრი მარიკა არევაძე დაინიშნოს მეხუთე დისციპლინურ კოლეგიაში ალტერნატიულ წევრად დისციპლინური საქმის №118/18 განხილვისათვის საჭირო ვადით.
2. გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღებისთანავე.
3. ეთიკის კომისიის აპარატს დაევალოს, გადაწყვეტილების თაობაზე ეთიკის კომისიის შესაბამისი წევრების ინფორმირება.

თორნიკე ბაქრაძე

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე